სამშობლო

სამშაბათი
15 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეში მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა, თითოეულ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 310 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 310

ტელეფონი
№ 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი
№ 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი

სარდიონ გიორგის ძე წერეთელი,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: ალექსანდრე სარდიონის ძე წერეთელი, კნ. ოლღა სარდიონის ასული ხიდირბეგიშვილისა, ალექსანდრა სარდიონის ასული შაშკოვსკისა და ლუბა სარდიონის ასული კიკნაძისა, შვილიშვილები: ნინო ჯაფარიძისა, ნინო წერეთლისა, ევგენია, ნინო და შურა წერეთლები; თ-დი ივანე ხიდირბეგიშვილი და სიძეები: ბიქტორ ქუთათელაძე, სეფე კიკნაძე, პოლკოვნიკი ივანე ჯაფარიძე და სოლომონ წერეთელი.

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე. გამოსვენება 17 მარტს, ხუთშაბათს, დღის 4 საათზე, საკუთარი სახლიდან კაზაკოვის ქუჩა. 3—1—95

აბრეშუმის თესლი.

შემოზიდულია საფრანგეთიდან და შ ღებული თბილისის საბრე-
სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის,
ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში
ავრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ
რდაჭირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

რანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ ვადიმ კოსერი. თ.

ს.|ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
ივიდეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ექიმი გაბრიელ იოსების ძე მოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
ნგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების
ება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახ-
ქანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფ-
მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ
ამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვსკი ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან
ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №
46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-ზე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების გამგეობა,

თანახმად წესდების მე-10 მუხლისა, აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევრთა

წლიური საზოგადო კრება

დანიშნულია ხუთშაბათს, 31 მარტს, 1916 წ., დილის 11 საათზე, გამგეობის სადგომში სამსონ ბოკერიას სახლში, თფილისის ქუჩაზე.

კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს არა ნაკლებ $1/_{10}$ ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, გამგეობა, თანახმად წესდების 16 მუხლისა, მოიწვევს მეორე კრებას, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ გამოცხადებულ წევრების რაოდენობისა. როგორც პირველს კრებაზე, აგრეთვე მეორეზედაც გაირჩევა შემდეგი კითხვები:

1. 1915 წლ. წლიური ანგარიში, გამგეობის განმარტებით.
2. 1916 წლის ხარჯთაალრიცხვა.
3. გამგეობის მოხსენება ფოთის განყოფილებაში, კულტურულ დაწესებულებათა მოძრავ ქონებათა დაზღვევის შესახებ და მისი ტარიფის დამტკიცება.
4. გამგეობის მოხსენება ოპერაციის გაფართოვების შესახებ.
5. გამგეობის თავჯდომარისა და მისი კანდიდატის არჩევა.
6. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
7. სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

94 1—1

ექიმი მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი,
ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

12 მარტი. რიგის ფრონტზე არტილერიისა და თოფის სროლაა. იაკობშტადტის ნაწილში ჩვენი ძალები განაგრძობდენ წინსვლას ავგუსტენჰორფის სამხრეთ დასავლეთით და ცხარე ბრძოლის შემდეგ დაიკავეს დ. ეპინი.

იაკობშტადტის მარცხენა ფრონტზე ლივონ ჰოფას ჩრდილოეთით ბრძოლა ხდებოდა. დვინსკის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიდის. სამხრეთ რიგის რაიონში, ტბა სეკვთან ჩვენ მტრის სიმაგრეს დავუშინეთ.

ზოგიერთ ნაწილში ბრძოლა მეტად მძაფრ ხასიათს იღებდა

გალიცია.

ბრძოლის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

შავ ზღვაზე.

ჩვენმა ნაღმოსნებმა ანატოლიის სანაპიროებთან ოსმალთა 12 ქვანახშირით დატვირთული გემი ჩასძირეს.

კავკასიის ასპარეზი

წინსვლა გრძელდება.

—

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გამახნევება.

გაზეთი „ნოვოე ვრემია“ გულს იმხნევებს და გერმანიის შტაბის ზოგი ცნობა რუსეთის ჯარის მოქმედების შესახებ მოჰყავს: რუსები ჩრდილოეთით შეტევის გზას დაადგენ და უნდათ გერმანელთა მარცხენა ფრთას გარს შემოერტყანო. აქედან რუსეთის სამხედრო წრეები დარწმუნდენ, რომ გერმანელებიც კი ცნობენ ჩრდილოეთის ფრონტზე რუსეთის ჯარის გამარჯვებასო. ის გარემოება, რომ ამავე დროს სამხრეთითაც დაიწყო ბრძოლები, მოწმობს იმას, რომ რუსეთის ორივე ფრთაზე, ორივე ფრონტზე ბრძოლამ აშკარა სახე მიიღო.

„რეჩის“ სამხედრო მიმომხილველის ცნობა.

კადეტების გაზეთის „რეჩის“ სამხედრო მიმომხილველი აღიარებს: ჩრდილოეთის ფრონტის ერთ-ერთ ნაწილში, ტბა დრისვიატის სამხრეთით გერმანელებმა მოახერხეს და რუსეთის ჯარს წინა დღეს აღებული სანგრების ერთი ნაწილი ისევ წაართვეს.

გერმანიის ახალი საზღვაო გეგმა.

ბერლინის გადმოცემით გერმანიის ახალმა საზღვაო მინისტრმა, კაპელლემ დაარწმუნა მთავრობა, რომ გერმანიისთვის ახლა აუცილებელია ახალი საზღვაო გეგმა შეიმუშაოს და სამხედრო ფლოტი გადამწყვეტ მომენტისათვის აამოძრაოს.

„მთავრობის სამხედრო უწყების“.

საერთოდ ახლა აშკარავდება, სწერს, „მთავრობის უწყება“, რომ ამ ჟამად რიგა-დვინსკის ხაზზე და დვინსკის სამხრეთით დაწყებულ ბრძოლას ჯერ ისევ მოსამზადებელი ხასიათი აქვს.

ამერიკელების გალაშქრება.

ნიუორკიდან ბუქარესტში ატყობინებენ, რომ შეერთებულ შტატებისა და მექსიკას შორის ომი ფაქტიურად უკვე დაიწყო. ამერიკის შტატების ჯარი ჯერჯერობით მხოლოდ 5,000 კაცისგან შესდგება, რომელიც მექსიკის ტერიტორიაზე გადავიდა და 20 ვერსის კვადრატულ სივრცის ოდენი ტერიტორია დაიკავეს. შტატები შემდეგისთვის 50,000 კაცისგან შემდგარ ლაშქარს ამზადებენ.

ოსმალეთთან მორიგება.

რუმინეთის გაზეთების გადმოცემით ოსმალეთისა და რუსეთს შორის მოლაპარაკება გამართული, რომ ურთიერთ შორის სეპარატიული ზავი ჩამოაგდონ.

რუმინეთის ნაციონალისტების სიხარული.

რუმინეთის ნაციონალისტებს ძლიან უხარიათ, რომ გერმანელები ვერდენთან ბრძოლაში მარცხდებიან. ერი ნაციონალისტური ორგანო ამ სიხარულს შემდეგი სიტყვებით ხატავს: „კაიზერის“ ვერდენთან დამარცხება გერმანელების გამარჯვების უკანასკნელ იმედებს სამუდამოთ „ასამარებს“.

დალატი გერმანეთის ჯარში.

ლონდონიდან ცნობები მოდის, რომ გერმანეთის ჯარის სიმტკიცე და ერთგულება ვერდენთან ბრძოლაში ძალზე შეირყაო. აქ ამ ბოლო დროს მთელმა რაზმებმა ფრანგების პოზიციებზე იერიშით მისვლაზე პირდაპირ უარი განაცხადეს.

კინემატოგრაფი და სამხედრო სესხის დემონსტრაცია.

„მთავრობის განკარგულებით პეტროგრადში კინემატოგრაფში „საზოგადოების“ სამხედრო სესხის განაღდების სურათებს უჩვენებენ რითაც სამხედრო სესხის დემონსტრაციის“ მოწოდებას გამოხატვენ.

ქრონიკა

რუსეთი.

ყრილობა მოსკოვში.

12 მარტს მოსკოვში ქალაქების და ერობების ყრილობები გაიხსნა. ქალაქების ყრილობაზე პირველ დღეს სხვათა შორის ილაპარაკეს: მოსკოვის ქალაქის მოურავმა ჩელნოკოვმა და თბილისისამ—ხატისოვმა. ასტროვმა ჯარის ზურგის გამაგრება-მოწყობის შესახებ ილაპარაკა. ერობათა ყრილობამ პოზიციებზე სამხედრო მასალისა და სურსათის გადაზიდვის და საერთოდ მიმოსვლის საკითხებით უნდა გაიხილოს. ერთი სიტყვით ყრილობას გასარკვევი საქმე დიდი აქვს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვევის პროცესში ის კიდევ უფრო გადიდდება და სერიოზული გახდება.

თ ლვოვი კითხვას აყენებს: ყრილობა უნდა შეეხოს ქვეყნის პოლიტიკურ ვითარებას, თუ მარტო პრაქტიკული საქმეებით დაკმაყოფილდეს? ამაზე ჩელნოკოვი უპასუხებს: ყრილობა „მოსაქმის“ ნიადაგზე უნდა დადგეს, ვინაიდან სახელ. სათათბირო მოქმედებსა, რომელიც ქვეყნის დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას უკეთ გამოხატავს. ამიტომ ყრილობაზე პოლიტიკური საკითხების წამოყენებას ისეთი მნიშვნელობა აღარ მიეცემა.

რად მოხსნეს სახელ. სათათბიროში ებრაელთა კითხვა?

გაზეთ „მოსკოვსკია ვედომოსტის“ გადმოცემით სახელ. სათათბიროში ამბობდენ, რომ პროგრესიული ბლოკის წარმომადგენლებმა დეპუტაცია გაუგზავნეს შტიურმერს, რომელსაც თხოვდენ, რომ თუ ებრაელთა ბრალდების ცირკულიარს გააუქმებს, მაშინ ისინი სახელ. სათათბიროს სხდომას დღის წესრიგიდან ებრაელთა კითხვასაც მოხსნიან. ამის შემდეგათ ვტყობილობთ, რომ სახელ. სათათბირომ უკანასკნელ თავის სხდომაზე ეს საკითხი თვით ებრაელების წარმომადგენლების მოთხოვნით მოიხსნა, რის წინაალმდეგ სასტიკი პროტესტი მხოლოდ ს. დემოკრატებმა განაცხადეს.

მსოფლიო ომი.

(დღიური).

საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა.

კავკასიისა და ოსმალეთ სპარსეთის ფრონტზე რუსის ჯარი წინსვლას ისევ განაგრძობს.

რუსეთისა და ავსტრია-გერმანიის ფრონტზე ბრძოლა ერთ ხაზზე შედგა: არც ერთ მხარეს ჯერ შესამჩნევი წარმატება არ ეტყობა; სჩანს გერმანელთ რუსეთის ფრონტზე ახალი ჯარები ჯერ კიდევ არ გადმოუყვანიათ; რუსეთის ჯარის აქა-იქ გამარჯვებაც ამ გარემოებით აიხსნება. რიგის რაიონში გერმანელთ იერიშები ჯერ სულაც არ დაუწყიათ. იქ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა და თოფის სროლა სწარმოებს. იაკობშტადტის რაიონში ავგუსტენგოფთან მთავარი შეტაკება ხდებოდა, რომელშიაც რუსეთის ჯარმა წარმატება მოიპოვა; აქ დიდი ბრძოლის შემდეგ მან ს. ეპიკნის სიმაგრეები დაიკავა ლივანგოფის რაიონშიაც დიდი ბრძოლა გაიმართა, მაგრამ რით დასრულდა ეს ბრძოლა, ამაზე ცნობა არაა. დვინსკის რაიონშიაც გამაგრდენ რუსები და ერთ ადგილს წინაც კი წავიდენ; ხოლო ვიძის რაიონში დვინსკის სამხრეთით, გერმანელები იერიშით წამოვიდენ. რით დასრულდა იერიში, ამას დეპეშა არ გვატყობინებს, მხოლოდ ჩივის, რომ გერმანელები „თვითმფეთქავ“ პატრონებს ხმარობდენო.

სხვა ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა, **მხოლოთ ზღვაზე** იყო საყურადღებო შეტაკება. ჩრდილოეთის ზღვაში ალბათ ახალი გეგმის თანახმათ გერმანიის კრეისერი „გრეიფი“ ნორვეგიის ფერებით შეღებილი გაშლილ ზღვაში გავიდა, როგორც სავაჭრო გემი. იქ შეეჩეხა ინგლისის სამხედრო ჯავშნოსანს „ალკანტროს“ და ამ ორ ზღვის ფალავან შორის გაიმართა ბრძოლა: ორივე მებრძოლი ზღვაში დაილუპა ყუმბარებისგან დანთებული ცეცხლით. ორივე მხრის ეკიპაჟიდან ბევრი ტყვე ჩაუარდა თხელში.

საფრანგეთ-ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე ისევ ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა.

ვერდენთან გერმანელები მალანკურ-ენის ხაზზე ზარბაზნებს ისევ სცემდენ, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერას გახდენ; იერიშებით არ წასულან მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე კიდევ მეტი სიჩუმე ჩამოვარდა; ხოლო ვევრთან მხოლოდ არტილერია მუშაობდა კრუა დეკარბთან კი გერმანელებმა ფრანგებზე უეცარი თავდასხმა მოახდინეს, უნდოდათ მათი სანგრები დაეკავებიათ, მაგრამ აქაც ვერა გააწყვეს რა ფრანგებმა ისინი თოფის სროლით მოიგერიეს.

ქ. ქუთაისი, 15 მარტი.

სხვა რა გვითქმის? არა გვგონია სიამოვნებით წაიკითხოს ჩვენმა მკითხველმა ბ-ნ ვასილ წერეთლის წერილი, დღევანდელ ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი! ბევრ უსიამოვნო აზრებსა და ფიქრებს გვიკარნახებს ჩვენც იგი. თვალწინ გვიშლის მთელი ჩვენი ცხოვრების სურათს და იმ დაწვრილმანებას, რომელ დაწვრილმანებამდეც მიგვიყვანა ჯგუფურმა გულისთქმამ და რომელი დაწვრილმანებაც უარესს გვიქადის, თუ ახლავე არ დავუდეთ საზღვარი ეგოისტურსა და ვიწრო გულისთქმათ!...

განა საკადრისია ერთმა რომელიმე ჯგუფმა მიითვისოს მთელი ხალხის უფლება? განა რიგიანობაა, ორმა და სამმა კაცმა დაუკითხავად მთელის იმერეთისა, შოკრიბოს ათი და ხუთმეტი თავისი მეგობარ—ნაცნობი, თავი დამფუძნებელ კრებად გამოაცხადოს „ქართულ სამეურნეო საზოგადოებას“ და მერე თავისივე თავი ამოარჩიოს ასეთი პასუხსაგებელისა და სახალხო დაწესებულების გამგეობად?

ნეტავ რას ჰფიქრობენ ხოლმე ეს ბატონები ასეთი საქციელის დროს და ან რა პასუხი უნდა მისცენ წევრთა იმ უმრავლესობას, რომელიც, გაიგებს რა ამ საზოგადოების დაარსებას, მოისურვებს საწევრო ფულის გადახდას და ამ დაწესებულების ნივთიერად გაღონიერებას?

დღევანდლამდე-კი ქართველი საზოგადოების უმრავლესობამ არც კი იცოდა ამ საზოგადოების დაარსების ამბავი. შეიძლება, ეს ამბავი გამოცხადებული იყო რომელიმე გაზეთში, თუნდაც იმავე „მეგობარში“, მაგრამ ყველა ხომ ამ ერთ გაზეთს არა კითხულობს?

ვისაც მხოლოდ ჯგუფური გულისთქმა არ ამოძრავებს, მოვალე იყო ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი საზოგადოების დაარსების განზრახვა ყველა მიმართულების გაზეთების საშუალებით ეცნობებინათ იმერეთის ქართველობისათვის და მერე დაენიშნათ არჩევანიც, მაგრამ ყოველისფრიდან სჩანს, რომ „დამფუძნებელნი“ ჯგუფურ ინტერესებს დამორჩილებიან

ეს იშვიათი მოვლენა აღარ გახლავთ ამ ბოლო დროს!... მას შემდეგ, რაც ფედერალისტებს კარგა საგრძნობი ძალა ჩამოშორდა და თავისი საკუთარი ორგანო გაიჩინა, მათ (ფედერალისტებს) მოსვენება აღარა აქვთ და სულ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე დასჯაბნონ და გააშავონ ეს უკანასკნელნი.

ამას წინად, მაგალითად, ქუთაისის ეთნოგრაფიულ საზოგადოებიდან უნდა ამოერჩიათ სამი კაცი კულტურულ დაწესებულებათა ბიუროს წევრებათ ამ კრებაზე ყველა კუტი და ავადმყოფი ფედერალისტიც კი მოსულიყო, ხოლო როცა ეროვნულ დემოკრატიულ ჯგუფის კანდიდატი გააშავეს, ყველას ისეთი ნათელი დაადგათ სახეზე, რომ სამოთხეში წმინდანებს არ ექნებათ ასეთი ნათელი სახე.

ღმერთმა გაანათლოს და განსწმინდოს სული და გული თქვენი, ბატონო ფედერალისტებო, მაგრამ ამ ჯგუფის „დამარცხება“ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ სახალხო საქმესაც გაამარჯვებინებთ!

დიაღ! სასაცილოა ასეთი კინკლაობა, სამწუხარო რომ არ იყოს, მაგრამ რა გაეწყობა? ჩვენ ვეცდებით, რომ შემდეგში მაინც არ გავხდეთ ჯგუფური მადის მსხვერპლნი.

ახლა კი დავუბრუნდებით ისევ ბ ნ ვასილ წერეთლის წერილს და ვკითხავთ:

1) რა უფლება ჰქონდათ „დამფუძნებლებს“—მოეწყოთ შინაურული კრება და 2) ან რად იკადრეს ბ-ნ ვასილის შეურაცხყოფა?

ვსთქვათ, ბატონი კიტა აბაშიძე, კიდევ, რაც უნდა იყოს, თავადია, ვინც რა უნდა სთქვას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ქართული მწერლობის წინაშე, მაგრამ ბ ნი პეტრე ყიფიანი რა საბუთის ძალით შეურაცხყოფდა დამსახურებულ პუბლიცისტს?

ჩვენ ვიცით, რომ ბატონი პეტრე ყიფიანი დიდი მოხერხებული, გამოცდილი კაცია, ვიცით, რომ ბ-ნ ქუთათურ ფედერალისტებს როგორც უნდა, ისე ატრიალებს, ვიცით, რომ ქართულ გიმნაზიასა, შავი-ქვის საბჭოსა და თავ.-აზნაურთა ბანკში უიმისოდ არა გაკეთდება-რა, მაგრამ, გვგონია, ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ქართულ საქმეების მესვეურათ ჩავთვალოთ. შეიძლება სხვა რამ ისეთი დამსახურება მიუძღვის ქართველი ერისა და ქართულ დაწესებულებათა წინაშე, რომ ვასილ წერეთლები აინუშშიაც არ ჩააგდოს?

თუ ასეა, გამოგვიყვანეთ შეცდომიდან და უფრო დაწვრილებით გაგვაცანით ბ-ნ პეტრე ყიფიანის მოღვაწეობა რომ ვ. წერეთლის შეურაცხყოფა დავუმადლოთ!..

ჩვენ არ გვიდა წავართვათ ვისმე პირადი ნიჭი და ღირსება, მაგრამ თუ ვასილისთანა კაცები საჯაროდ შეურაცხყოფილნი იქნებიან ხოლმე, მაშინ, აღარ ვიცით, რა ეშველებათ იმ ჯერ დაუმსახურებელ, მაგრამ გულწრფელ ახალგაზდათ, რომელთაც სწყურიათ ქვეყნის სამსახური, მაგრამ წინ კი გადაეღობებიან ჯგუფურის გულისთქმით გატაცებული ამა თუ იმ დაწესებულების „დამფუძნებელნი“..!

გვერწმუნეთ, დამაფიქრებელია ჩვენი ასეთი ყოფნა!

ახალი ქართული სამეურნეო საზოგადოების დამფუძნებელთა (!) კრება.

ამ თვის თორმეტს საბჭოს დარბაზში ოცი თუ ოცდაორი კაცი შეიკრიბა, გაიხადეს საწევრო ფული უწოდეს თავის თავს დამფუძნებელთა კრება. როდესაც გამგეობის წევრთა არჩევანზე მიდგა ჯერი, მე განვაცხადე: „ერთობ ცოტა წევრი მოგიწვევიათ; გადავდვათ კრება ხუთი დღით მაინც, მოვიწვიოთ ფართო საზოგადოება და არჩევანი მაშინ მოვახდინოთ მეთქი. ბ. ლალიძემ მომიგო: ჩვენი საზოგადოების გულგრილობის ამბავი რომ ვიცით, კრება თუ გადავდევით, კიდევ უფრო ცოტა ხალხი შეიკრიბებაო; ბ. ი. ქუთათელაძემ ბძანა: „ისეთი საჩქარო საქმეები გვაქვს, რომ ცეცხლი გვიკიდია და არჩევანი თუ ახლავე არ მოხდა საქმე წახდებაო“; ბ. პეტრე ყიფიანმა მომახალა: შენც არ გადაგიხდია საწევრო ფული და რა უფლებით ამბობ, შემდეგ კრებას ბევრი დაესწრება და საწევრო ფულსაც გადაიხდისო! თავადმა კიტა აბაშიძემაც იგივე ბრალი დამდვა ამგვარად პირში ბურთი ჩამჩარეს და იძულებული მყვეს მიმეტოვებია კრება.

მიმიწვიეს და შეურაცხმყვეს! არ დამიჯერეს, როდესაც განვაცხადე, საწევრო ფულს მოგართმევთ მეთქი. „ყველა ასე იტყვის, მაგრამ ყველას ხომ ვერ დავუჯერებთო“, მომაძახა თავადმა კიტამ. მეორე მხრით, ეჰეი, საწევრო ფულს არავინ შემოიტანსო, საზოგადოების შეურაცხყოფაა.

მერე ვინ არიან შეურაცხმყოფელნი? ბ. პეტრე ყიფიანი; რომელიც ისე იქცევა, რომ გეგონება, მთელი ჩვენი საზოგადო საქმეები ამას ჰკიდია—ზურგზე [illegible] ვერ ვიცნობდეთ! და ბ. კი [illegible] აბაშიძე ეს ფუტურისტ-კრიტიკოსი, რომელსაც თავადური ცრუ-მედიდურობა [illegible] მკვდარი აქვს ძვალში, და [illegible] სხვისი პიროვნების შეურაცხყოფა ჩალა უჩანს.

ამ გვარად ერთი პატარა ჯგუფი ჩუმა მალულად შეიკრიბა და თავისი თავი და მფუძნებელ კრებადაც აღიარა და გამგე ობაც აირჩია! და, თუმცა გამგე-ბ წევრთა უმეტესობის საწინააღმდეგო მაქვს რა, მაგრამ მაგგვარი საარჩევნო წეს ყოვლად შეუწყნარებლად მიმაჩნია

ამას უწოდებენ საზოგადო მოღვაწეობა სა და საზოგადო ჯგუფთა შეერთებას ერთი საქმისათვის?!

მაგრამ ეს ხომ ჯგუფობაა და, მაშასად მე, საზოგადო საქმის დამარხვა!

რაც შეიძლება, მეტი საზოგადოებრიო ბა, ბატონებო!

ვასილ წერეთელი

უმაღლესი ბრძანება უმართებელს სენატს.

პ. დ. ს.

მეფემ უმართებელს სენატს უბრძ გაწვეულ იქნან ჯარში ობეროფიც (რომელნიც ისხდვათ ლაშქარში ირიც ბიან) ზაურიად პროპორშჩიკები და დუქტორები. ბრძანება შეეხება მთელ პერიას.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

პ. დ. ს.

რუსეთის სასოფლო სამეურნეო კ სიამ განიხილა მინისტრთა საბჭოში შ შავებული კანონპროექტი, რომ ხო კრიზის გამო აიკრძალოს კვირაში ორ საქონლის დაკვლა. მთელს იმპერიაში მეურნეო კომისიამ ამის შესახებ მხრივ დაადგინა, აიკრძალოს მხო ხბოების დაკვლა. სასოფლო სამეურ კომისიამ აგრეთვე საჭიროდ სცნო ს როდ რუსეთის ქვეშევრდომ შეძენ ავსტრიელთა მონათმფლობელობის ვიდაცია

◆ **ერეკლე II-ს გასამართლება.** გასამართლება უნდა მომხდარიყო კვ 13 მარტს, მაგრამ სხვადასხვა მიზ გამო გადაიდვა, მიუხედავად იმისა, მრავალი ხალხი მიაწყდა თეატრის კარ ეს საყურადღებო გასამართლება გაიმარ

სამი ჟურნალი.

1) **„ხნივი“**—გაზეთ „შრომის“ თანამშრომელთა გამოცემა.

2) **„ცისფერი ყანწები“**—პავლო იაშვილის ჯგუფისა,

3) **„ახალი ცისკარი“**—ლადო მაჭავარიანის გამოცემა.

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 308.)

ვინც იცის ისტორია ხალხთა თანდათანობითი განვითარებისა, ვისაც შეუსწავლია პოლიტიკური და ქონებრივი მდგომარეობა ევროპის ერებისა სხვადასხვა ხანაში, ვინც დაჰკვირვებია უფლებრივ ნორმებს ამავე ერებისას და გადაუთვალიერებია ისტორია მათის მწერლობისა, ისიც ეცოდინება, რომ არც ერთი ცნობილი ერი არ ყოფილა თავისი თავის მტერი და უვლია სწორედ იმ გზით, რომელი გზაც უჩვენებია მისთვის მის ხალხოსნურ ინტერესებს.

ცხოვრება ბრძოლაა არსებობისათვის და სცხოვრობს მხოლოდ ის, ვინც ძლიერია ფიზიკურადა და სულიერად, ვინც ისე აწყობს თავის ცხოვრებას, რომ არც თვითონ ხდება სხვის ბარგად და არც სხვას იხდის თავის სათრევად; და თუ ეს ითქმის თითოეულ კაცზე, თითოეულ ინდივიდუუმზე, ესევე ითქმის ერთის ტომისა, ერთის სისხლისა, ერთის ისტორიისა და ერთის ქვეყნის პიროვნებათა, ინდივიდუუმთა, კრებულზე—კოლლექტივზე? (ერზე, ხალხზე).

თითოეულ ერს აქვს თავისი განსაკუთრებული თვისება სულისა, საუკუნოებით დამუშავებული, მემკვიდრეობით ნაწრთობი და ნაბრძმედი, რომლის გადახვევაც სალხარს უსპობს, უსუსტებს ძალას ბრძოლისას და ბოლოს აჰარცხებს, ან ჰკლავს კიდეც ერს..

თუ ასეთი ბედი ეწვევა ხოლმე თავისუფალს, თავის-თავის პატრონსა და ბატონს, მაგრამ თავზე ხელ აღებულ ერს, რაღა უნდა დაემართოს ისეთ ერს, რომელსაც დაუკარგავს თვითარსებობა და სხვის მაჩანჩალად გამხდარა?...

ქართველები პატარა ერი ვართ, ეკონომიურად სუსტნი, კულტურულად ჩამორჩენილი. მართალია, მრავალსაუკუნიანი ისტორია გვაქვს, მაგრამ ამ ისტორიის მსვლელობა გადატყდა. დღეს ერთი ორათა და ერთი სამად მეტი სიფხიზლე, მეტი ზრუნვა და შრომა გვჭირია, რომ შევირჩინოთ ჩვენი ინდივიდუალური სახე და ეროვნული მთლიანობა და სწორედ აქეთ იყო მიმართული მთელი მეცადინეობა მესამოცე წლების მოღვაწეებისა. ამასვე უნდა ვზრუნავდეთ დღევანდელი თაობაც, რომ ჩვენ მომავალს მტკიცე და შეურყეველი ნიადაგი მოვუმზადოთ.

ერთით თითქოს ეს სადავო არავისათვის არ არის. ყოველივე ჩვენში არსებული ჯგუფი თუ მიმართულება თითქოს ამასვე სცდილობს და საჯაროთ აცხადებს კიდეც თავის ასეთ სურვილს (ნახეთ თუნდა უკანასკნელი წერილი ანისა: „არჩილ ჯორჯაძე“. „თან. აზრი“ № 52, 13 მარტის თარიღით), მაგრამ პრაქტიკა ჩვენში არსებულ ჯგუფთა მოქმედებისა სულ სხვას გვეუბნევა.

მას შემდეგ, რაც ჩვენ გაევროპიელების გზაზე შევდექით, მას შემდეგ, რაც ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიურმა თეორიებმა ჩვენშიაც შემოაშუქეს და თავთავისი მიმდევრები მოიპოვეს, ჩვენში გაჩენილ ახალ-ჯგუფთა შორის ისეთი განხეთქილება და უთანხმოება ჩამოვარდა, რომ თავ ტანისა ვერა გაგვიგიარა და აღარ ვიცით, როგორ მოვაწესრიგოთ საქმე, რომ ერთმანეთი არ დავჭამოთ და ჩვენგან მიღებულ, თუ აღსარებულ თეორიებსაც მეცნიერული, ქართველი ერის შესაფერი ხასიათი მივსცეთ.

ბრძოლა მეცნიერულსა, თუ ჯგუფურ ნიადაგზე სხვა ერებში, სხვა ხალხებშიც არსებობს,—უმისოთ წინსვლაც არ იქნებოდა, მაგრამ ისეთი ორომტრიალი, ისეთი არევ-დარევა კი, როგორიც ჩვენშია, არსად არ გაგონილა!...

ევრედ წოდებულმა „მესამე დასელებმა“ პირველ ხანებში ნაკლები ყურადღება მიაპყრეს ეროვნებას, მას შემდეგ გაჩენილმა ჯგუფმა ფედერალისტებისამ მხოლოდ თავისი თავი აღიარა ხალხის მხსნელად ახლა ფეხს იკიდებს კიდევ სულ ახალი წმინდა ეროვნული ჯგუფი, რომელიც ორივე ჯგუფს უკიდურესობა [illegible] ამხილებს და სცდილობს, რომ ქართველი ხალხის ცხოვრება ჩააყენოს თავის [illegible] რიულ კალაპოტში, მიიღოს [illegible] ის, რაც აუცილებლად მისაღ[illegible] და ას წავლოს, შეაგნებინოს ხალხს ის, რაც გამომდინარეობს თვით ჩვენი ერის პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობიდან, ცხოვრების რეალურ პირობებიდან და არა ოცნებისა და ჩვენზე დიდად დაწინაურებულ ევროპის [illegible] მიერ შექმნილ მხამხარეულ [illegible]ლებიდან.

მეტის მეტი უმადური და უმადლო შრომა იქნება ჩვენთვის, რომ ამ ქამად შევუდგეთ იმის გამოკვლევას ან მტკიცებას, რომელი [illegible]ტებანი“ უფრო შეურყეველი და [illegible]ია, ვინაიდან უზადო და უცვლელი [illegible] არ არსებობს. აზრი და ფიქრი ადამიანისა იცვლება დროსთან ერთად [illegible] ჭეშმარიტება და ნორმა ურთიერთობისა იმდენად „მართალი და უცვლელი“ მისაღებია, რამდენადაც იგი გამოხატავს აზრსა და შეხედულებას უმრავლესობისას, რამდენადაც იგი ნაყოფია [illegible] ამა თუ იმ პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობისა.

ჩვენ თუ სიტყვა ჩამოვაგდეთ ჩვენებურ ჯგუფების [illegible]ობაზე, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დავანახვოთ ჩვენს მკითხველებს: რამდენად დაშორდით ახალი დროის ნასწავლებ ხალხს, რამდენად სუბიექტიურია ამა თუ იმ ჯგუფის გულისთქმა, ვინაიდან ამ მათმა სუბექტივობამ ლამის მთელი ქვეყნის კეთილდღეობა შეიწიროს, ვინაიდან დიდი უმრავლესობა ქართველობისა ჩვენში არსებულ ჯგუფთა გავლენის გარეშეა დარჩენილი და უპატრონოდ მიჩანჩალებს ცხოვრებას.

აქვს თუ არა ამ ხალხს, ამ მასსას ისეთი პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, რომ შეისმინოს შენი, ან განა ხორციელობს შენი მოძღვრება? აი, ის უმთავრესი საკითხი, რომელიც პირველ ყოვლისა გადაჭრილი უნ და ჰქონდეს ყველა მქადაგებელსაცა და მოძღვრებელსაც. მაგრამ რამდენადაც მე ვიცნობ ჩვენ ცხოვრებას, მწერლობასა და ურთიერთობას, ეს საკითხი დავიწყებული გვაქვს და ჩვენ ცოდნასა თუ განცდათ ხალხის უმრავლესობის გამოსაფხიზლებლად კი არა ვხმარობთ, არამედ ერთმანეთის გასაბიაბრუებლად და გასამათრახებლად ვიყენებთ.

ჩვენ გვავიწყდება ჩვენი ხალხი, მისი არსებითი საჭიროებანი და რაკი გაგვიზეპირებია ესა თუ ისე თეორია, ასე გვგონია ხალხიც ისე ჰფიქრობს და ბჭობს, როგორც ჩვენ, ან უმეტესს შემთხვევაში პირდაპირ ვატყუებთ ხალხსაც და ჩვენ თავსაც!

მე ვამბობ, მე ვამტკიცებ, რომ ეს ასეა მე ვამტკიცებ, რომ ჩვენი,—ქართველი ნასწავლების,—უმრავლესობა არ იცნობს ჩვენ ხალხს და არც იცის მისი გულისთქმა! ჩვენ თვითონ უმეტესს შემთხვევაში ან ვერწმუნებით, უკრიტიკოდ ვიღებთ ევროპის მეცნიერთაგან დამუშავებულ თეორიებს და ასე გვგონია, რომ იგი ჩვენი ხალხისათვისაც ხელსაყრელია, ან არც ესა გვწამს და მხოლოდ სხვის ფეხის ხმას ავყოლივართ, რომ „არა სთქვან ჩვენზე, რა იხერიაო“ და უნივერსიტეტებსა თუ სხვა სკოლებში აღზრდილ—განსწავლულნი ჩამორჩენილებათა და ბრიყვებათ ჩაგვთვალონ.

ასე რომ არ იყოს და თავის ეზრუნა ყველა იმას, ვისაც თავისი ნასწავლი და ხალხის გულის შემტ ჰგონია“, აქამდე მთელი ქართველობა და ოცი თაბახით წინ ვიქნებოდით ოთხმოცდაცხრამეტს მაინც ეცოდ და წერა-კითხვა. აქამდე არამც თუ ვლული და გაფურჩქნული იქნებოდა ძველი თუ ახალი მწერლობა, ასი და სი მეცნიერული გამოკვლევა გვექნებ ასი და ორასი ყოველდღიური გა იარსებებდა, ასი და ორასი ათასი საბ წიგნაკი მოეფინებოდა საქართველო ბარად! მაგრამ ვაი ის არის, რომ ხალხი უპატრონოდ არის მიტოვებუ ჩვენ-კი მისი მოწინავე ნაწილი სხვის ლებათა და ყურებად გადავქცეულ უმრავლესობა, რასაკვირველია.).

აქ კვლავ მივადექით იმ მიზეზს დაკნინებისას, რომლის შესახებაც წერილში მოვიხსენიეთ, ე. ი. მიზეზი ლა ამისა არის ის, რომ საქართველო თავის ისტორიულ გზას, ძველი კულ რა დაივიწყა, ახალიც ველარ გააბალ და დღევანდელ პოლიტიკურ—ეკონომ პირობებისა გამო სხვის ჰკუით ღ ცხოვრება.

ყველა ამასთან ერთად ჩვენ არა გ შემუშავებული მტკიცე დისციპლინა შაობისა, ფიქრისა და მოქმედ ჩვენ არა გვაქვს პატივისცემა ვნებისა და იდეისა; ჩვენ არ პოვება სამოქალაქო და სამწერლო დიცია, ჩვენ არც ვცდილობთ ამის ქმნას. ჩვენი უმრავლესობა „ჩინოვ აღზრდითა და სულით, „ბიუროკ მოქმედებითა და საქციელით, ბატო და ბრძანებლობის მოყვარულია გ თქმით, მხდალია გარეთ, დიდგულ

— ჰკვიანი ვიყავ გლეხებთან, ტ

საშაბათს, 15 მარტს, სასამარ- თავმჯდომარეობს **ილ. ჩიქოვანი** „მეგობარში" წინა დღეებში ბეჭდილი იყო, თითქოს გასამარ **დ. უზნაძე** მონაწილეობას არ ღებს. ეს ცნობა სიმართლეს მო- , **დ. უზნაძე** მიიღებს მონაწი- ვინაიდან კიტა აბაშიძემ უარი გასამართლებაში მონაწილეობის , ამიტომ **სრულიად მოუ ლად** ერეკლეს დაიცავს **ზრ აძე.**

კვირას, 13 მარტს, დილის მატა- ტყიბულს გაემგზავრენ ქუთ. გუბერნატორი და გუბერნიის ექ ნებულია ტყიბულში ამ ჟამად გავრ- ლ ავადმყოფობის გამოსარკვევად კოპოტრაზე მცხოვრების ილარიონ სახლში მისულან ქურდები მოსაპარავად ქურდებს ღვინის მაგივრათ წყლით სავსე ქვევრი და ექვსი ფუთი წყალი წაუღიათ. ღამე არ გაივლის, რომ გოჭოუ არაფერი დაიკარგოს. ამ ვაჟბატონე- წყლობით. საჭიროა ზედმეტი ყურა- მათ ასალაგმავათ.

დღეს საღამოს 7 საათზე შავი ქვის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების კრება, რომელმაც არჩიოს 3 წარმომადგენელი კულ საზოგადოებათა კავშირში მონა მისაღებათ.

◆ ლექციები. კვირას, 13 მარტს, რადიუმში გაიმართა ლექციების ლექციები წაიკითხეს ბ.ბ. ალ. ალ- შვილმა და აკაკი ფაღავამ ორი- ტორები საზოგადოებამ ტაშის ცემით ღლოვა.

◆ ავსტრიელებთან ბრძოლაში დაიჭრა კიევის საავადმყოფოში გარდაიცვალა კაცი დათა მიხ. კარკალაია (ქუთ

◆ სასულიერო კონცერტი. ოთხშაბათს, მარტს, და ხუთშაბათს 17 მარტს, ქის თეატრში სასულიერო მთავრო- ნებართვით მ. რაჟ ხუნდაძის ლოტ- ობით გაიმართება ფრიად საყურად სასულიერო კონცერტი. ასი კა შემდგარი გუნდი შეასრულებს სასულიერო სამ ხმიან საგალო , ბილეთები იყიდება თეატრის კა- და თ. მთავრიშვილის მაღაზიაში.

◆ სალიტერატურო დილა კვირას, 13 , ქალაქის თეატრში ქუთაისის ქა წრემ გამართა სალიტერატურო დი- . საზოგადოება საკმაოდ დაესწრო ბადრიძემ დაახასიათა დედა კაცის

ხლონიკთანაო! ამბობს ილიას დიამბეგი სავალალო ის არის, რომ დღესაც გვყავს ასეთი, ჩვენის ახალის ცხოვ- შექმნილი დიამბეგი, დიამბეგი , საქციელითა და მოქმედებით, ამა თუ იმ ჯგუფის „იარლიკ"- და თავი მოაქვს თავისის მოღვა . სულითა და გულით ხალხოსანი, ძალიან იშვიათად მოიპოვება და ვინც არის, ისიც გამოდევნი- არამც თუ საზოგადოებრივი დაწე- დან, დევნილია თვით ცხოვრე- , ვინაიდგან დღევანდელი დღის ვერ იფერებს, ვერ ჰგუობს ასეთ ...

იმედია, მკითხველი არ დამემდურება, ასე შორიდან დავიწყე ჩემი საუბარი, დროს, როცა საგნად ჩემის წერილე- უნდა ყოფილიყო გარჩევა იმ სამი ჟურნალისა, რომლებიც ამ ორი კვირის თითქმის ერთ დღეს გამოვიდა ქ- ქუთაისში.

საქმეც ის არის, ბატონებო, რომ მწერ- ლობა ღვიძლი შვილია ამა თუ იმ ერის ცხოვრებისა და თუ გათვალისწინებული გვექნება სადღეისო ყოფნა ხალხისა, ვერც მივხდებით, ვერც დავაფასებთ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებთ, რომლებიც უმართებულოდ ავიწყდებათ ხოლმე , ვინც მოვალენი არიან ყურადღება მიაქციონ მათ, ან დაუმსახურებლად ქება დიდებას ასხმენ ხოლმე ისეთ ნაწარმოებთ, რომლებიც ნაყოფნი არიან მხოლოდ თავ- ყვარეობისა, ჯგუფურის წაქეზებისა და თავხედობისა.

ჩვენი ვალია ფარდა ავხადოთ ჩვენის ცხოვრების ცუდსა და სუსტ მხარეებს და მკითხველს დავანახოთ ნამდვილი გზა წინმსვლელობისა ცხოვრებისა და ცხოვრების თანდათანი განვითარებისა.

(შემდეგი იქნება).

მდგომარეობა წარსულში აწმყოში და მომავალში. მშვენიერი მოთხრობა წაიკითხა ბ-მა იასონ ნიკოლეიშვილმა. მონაწილეობდენ მგოსანი ბ. ბ. ნ. ჩხიკვაძე მ. ანაშვილი და სხვანი. ნ. ჩხიკვაძემ დამსწრე საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია ჩხიკვაძე და მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა, მშვენივრად წაიკითხა ლექსები ჩვენმა თანამშრომელმა მ. ანაშვილმა, იგი უეჭველად კარგი დეკლამატორია, რომ სცდილობდეს უფრო ბუნებრივათ ლექსის წაკითხვას.

◆ როგორც გადმოგვცეს. „ცისფერ ყანწისტებს" განზრახვა ჰქონიათ 1 აპრილიდან ქალაქ ქუთაისში გამოსცენ ყოველ კვირეული მხოლოდ სალიტერატურო გაზეთი

◆ ამ მოკლე დროში ქალ თეატრში წარმოდგენილი იქნება. შ. ჯაფარიძის მიერ ალ. ყაზბეგის რომანიდან გადმოკეთებული პიესა მოძღვარი.

◆ **„კოოპერაციის" საზოგადო კრება** კვირას, 20 მარტს, დილის 10 საათზე, ელექტრო-თეატრ „რადიუმში" დანიშნულია ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის" საზოგადო კრება. განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) გამგეობის მოხსენება და ანგარიშების განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) სავაჭრო პუნქტები ანუ კიოსკები განაპირა უბნებში; 4) მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა; 5) გამგეობის წევრთა რიცხვის განსაზღვრა და მათი არჩევნები; 6) სარევიზიო კომისიის 1 წევრის არჩევა; 7) სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინსტრუქციების განხილვა; 8) მომხმარებელ საზოგადოებათა ამიერ კავკასიის კავშირი; 9) ქუთაისში მეორე მომხმარებელი საზოგადოების დაარსება და მასთან ჩვენი დამოკიდებულება; 10) მიმდინარე საქმეების კრებაზე დასწრება არა წევრებსაც შეუძლია.

სახელმწ. სათათბირო.

11 მარტის სხდომა

სხდომას თავმჯდომარეობს როძიანკო. მორიგ საკითხთა შორის განსახილველია 30 წევრის შეკითხვა სამხედრო, სავაჭრო სამრეწველო მინისტრებისადმი პუტილოვის ქარხანაში მუშაობის შეწყვეტის გამო სხდომის კარები დახურულია, რის წინა აღმდეგაც ხაუსტოვმა პროტესტი განაცხადა და შემდეგ გადავიდა საქმის ვითარების გამორკვევაზე. პუტილოვის სხვა და სხვა დარგის მუშებმა, როდესაც თავიანთ, სამართლიანი მოთხოვნილება წამოაყენეს სამუშაოზე საფასურის მომატების შესახებ. ქარხნის ადმინისტრაციამ მათ ყურადღება არ მიაქცია, მხოლოდ მთავრობამ დაუწყო დევნა და შევიწროება შეგნებული მოწინავე მუშები დაატუსაღეს და ზოგს გადასახლება და ზოგს ციხე მიუსაჯეს. ცხოვრების არა ჩვეულებრივი გაძვირების გამო მუშები იძულებულნი იყვნენ მღელვარება დაეწყოთ, რაიც მთავრობამ ღალატათ ჩასთვალა.

სტემკოვსკი აცხადებს, რომ მუშების შორის ხომ არ ყოფილა პროკლამაციური მოწოდება სრულიად რუსეთის სოც დემოკრატიულ პარტიისა.

ნოვიცკიმ განაცხადა, პროკლამაციები მას შეუნიშნავს აგრეთვე ბალტის მხარის ქარხნებში, მაგრამ რახან იქ, როგორც ქარხნის ადმინისტრაცია ისე მთავრობა ჭკვიანად ეპყრობოდა ამ რიგათ პროკლამაციებს არავითარი მუშათა გაფიცვა არ გამოუწვევიაო საჭიროა ყოველ ქარხანაში მთავრობამ მუშებს მეტის უყურადღებით სამართლიანობით მოექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თუ მთავრობა და სათათბირო ჯეროვნათ არ მოექცევ მუშების საკითხს ისინი რუსეთის საბედისწეროთ შუკიდან ვერ გამოიყვნენ.

ბუბლიკოვი. პროგრესისტთა ბლოკის სახელით აღნიშნავს არსებულ მომენტის სიმძიმეს და მიუთითებს: შეთანხმებას ყოველ საქმეში. კამათი გათავდა. ხმის მიცემის დროს ლაპარაკობს: ვერშენინი და მარკოვი მეორე. ვერშენინი აცხადებს რომ სახელმწიფოში სოციალ-რეალ წყობილების შემოსაღებათ საჭიროა საკითხისადმი მეტი ყურადღების მიქცევა, მარკოვი მეორე, აღნიშნავს, რომ ბუბლიკოვის სიტყვაში საჭიროა შეტანილი იქნას შესწორება, სახელდობრ: ბუბლიკოვი მოითხოვდა, რომ მთავრობა მეტის პატივისცემით მოექცეს მუშებს. მარკოვი მოითხოვს, რომ მუშები აგრეთვე თანადო პატივისცემით უნდა იქცეოდნენ, სინდისიერათ მუშაობდნენ. ქარხნებში არ უნდა უშვებდნენ ექსტესებს. ტარანოვი აცხადებს: თუ ქარხნებში პროკლამაციები შენიშნეს, ეს უთუოდ გერმანელთა აგიტატორების საქმეაო საკითხი მიიღეს. შემდეგ ლაპარაკობს სამხედრო მინისტრი თავის სიტყვის დასაწყისში მინისტრი შეეხო პუტილოვის ქარხნებს როგორც სამხედრო მასალის დამამზადებელთ ჯერ კიდევ ივლისში 1915 წ, როდესაც ხსენებულ ქარხნებში სამხედრო მასალის დამზადება ძლიერ გვიანდებოდა მიზეზების გამოსარკვევათ გაიგზავნა სახ. სათ წევრი გუჩკოვი. აგრეთვე ქარხნებში არსებულ მუშათა სეკრედიტო ამხანაგობათ მიეცათ 30,000 მანეთი. მაგრამ საქმე მაინც ვერ მოგვარდა, და ამიტომ ქარხნებში ადმინისტრატორებათ გაიგზავნენ მთავრობის კაცები: გენერალი დრომზდე და სხვანი, რომელთაც მინდობილი ქონდათ ქარხანაში მდგომარეობის გამორკვევა, და აგრეთვე მუშების საფასურის მოთხოვნილების განხილვა 1915 წ. გაზფხულს, როდესაც მუშებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს, მათ ყოველ მანეთზე 3 შაური მიემატა, მაგრამ ვერც ამ ნაბიჯმა იმოქმედა მუშებზე. დაბოლოს მუშაობა შესწყდა. ქარხნებში სულ მუშაობდა 15739 კაცი, პირველათ მუშაობა შესწყდა შრაპნელების დამამზადებელ განყოფილებები, შემდეგ კი ზარბაზნების განყოფილებები, შემდეგ როგორც იყო, გამართულ მოლაპარაკების წყალობით, სა ელექტრონოლეჩში მუშაობა განახლდა მუშაობა განახლდა აგრეთვე სასარბაზნო განყოფილებაში. მაგრამ საფასურის მომატება იქაც ითხოვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მუშებს უცბად მღელვარება დაეწყოთ, მათ მოითხოვეს ყველა დატუსაღებული მუშის განთავისუფლება. დაიბარეს ქარხნის ზოგიერთი ადმინისტრატორი და ბევრს თავ-პირი დაამტვრიეს

ანტონოვი იხსენიებს რა საბიუჯეტო კომისიის ხარჯთ აღრიცხვას 39165416 მან., აღნიშნავს რომ ციხეში დატუსაღებულთა რიცხვი საგრძნობლათ შემცირდა რაც გამოწვეულია ჯარში გაწვევით და მაგარ სასმელების გაყიდვის აკრძალვით.

ხატისვი მოუწოდებს ციხის მთავრობას, ციხეებში ტუსაღებ შორის სანიტრული მდგომარეობა გააუმჯობესონ და აგრეთვე ტუსაღების ექსპლუატეცი მოახდინონ

კრუპენსკი მოახსენებს გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვას ომის წყალობით გამო, დიპლომატურ კორპუსის შედგენას სავაჭრო და სამხედრო დარგში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზიაში ომის მსვლელობას.

სახელმწიფო საბჭო,

კულომზინი თავმჯდომარეობს. ღებულობენ შევსებით კანონპროექტს განსაკუთრებითი კრედიტის შესახებ. კამათს განაგრძობენ გადასახადების შესახებ. იხილვენ 26 წევრის მიერ ხელმოწერილ შესწორებას. შჩეგლოვიტოვი მოითხოვს საექციონერო წარმოებაზე კიდევ ზედმეტი გადასახადი იქნას დადებულიო მის წინააღმდეგ ილაპარაკა სახელმწიფოს კონტროლმა და გურკომ კანონპროექტი უარყვეს. მეორე კანონპროექტს გადასახადების შესახებ ღებულობენ სახელმწიფო სათათბიროს რედაქციით. დიკოშინს შესწორება შეაქვს, რომ არცერთი საწარმოო აქციონერი ამხანაგობები არ იქნას განთავისუფლებული ამ ახალ გადასახადებისაგან, ვინაიდან მათ თვალსაჩინო კაპიტალის შეტანა შეუძლიათ ხაზინაში. ბობრინსკი წინადადებას იძლევა, რომ გადასახადების საქმის მოსაწესრიგებლათ საჭიროა კრედიტის გადადება ერთ მილ. მან. რომ გადასახადების მეთვალყურეობა უკეთ მოეწყოსო. ფინანსთა მინისტრის ამხანაგმა, ნაკოლენკომ განაცხადა, რომ, ასეთიზომის მიღება მთავრობამ უკვე შეიმუშავაო.

ფრიდმანმა. მე-VI მუხლის განხილვის დროს წინადადება შეიტანა, — საბჭომ შესცვალოს ამომრჩეველთა კანონი მოვალეთა მიმართ, რომელიც სათათბირომ შეიმუშავა. მის წინააღმდეგ ილაპარაკა ვასილიევმა და სახელმწიფოს კონტროლიორმა წინადადება უარყვეს. სხდომა შესწყდა, ორშაბათამდე.

ნარკვევი

„ცისფერი ყანწების" გამოსვლისა და გაზეთ „მეგობარში" ელენე დარიანის ლექსების მოთავსების გამო, გაზეთ „ახალ კვალში" ცაცა დ-ძის ასული თავისი მხრით და ქართველ ქალთა ჯგუფის მონდობილობით გულისწყრომასა და აღშფოთებას გამოსთქვამს. იგი შეკითხვით მიმართავს „ცისფერი ყანწების" ზოგიერთ ავტორს და „მეგობრის" რედაქციას:

„ცისფერი ყანწების" ვრცლად განხილვა და მასზე ლაპარაკი დაუმცირებლად მიგვაჩნია ქარ. ქალისთვის. ჩვენ ამ გახრწნილებას სულ დუმილით შევხვდებოდით, რომ „ყანწებში" ქალის სახელი არ იყოს. ჩვენ არ შეგვიძლია დავუჯეროთ, რომ ქარ. ქალი ამდენათ გაურყვნდა და დაჰკარგა ის, რაც მას სხვა ერებისათვის თვისებას შეადგენდა, რომ ის უტიფრად შემვლდი მიგვეყენია თვალის კაშკაშათა შორის. გვჯერა გვჯერ რომ ის მართლა ელენე იყოს. ამიტომ მივმართავთ „ყანწების" ზოგიერთ ავტორს (დორთქიფანიძეს, გ. ტაბიძეს ვაფლიანს და ფულავას), რომელთა აღმაშფოთებ ჯერ კიდევ გვჯერა. ნამოხოდოს ნიღაბი ნამდვილ ელენე დარიანს და დაგვანახონ მისი ნამდვილი სახე; ამასვე მოვითხოვთ გაზ. „მეგობრისგან".

ჩვენ ერთი ჯგუფი ინტელიგენტ ქართველ ქალებისა მოვითხოვთ თქვენგან, დაგვისახელეთ ვინ არის ეს ელენე? წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სრული უფლება გვეძლევა თქვენი ასეთი სახელი გაწოდოთ და ასეთივე შეხედულების ვიქონიოთ თქვენზე, როგორიც ვუწოდებთ იაშვილს.

ქართული საეკლესიო გალობა.

აღდგომას წირვაზე ხარკოვის უნივერსიტეტის ეკლესიაში, ერთმა ქართველმა მღვდელმა ქართულად წაიკითხა სახარება. ეკლესია სავსე იყო პროფესორებითა და მრავალი ინტელიგენციით.

სახარების კარგ კილოზე წაკითხვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, რომ მთელს ეკლესიაში ასტყდა სიმოვნების განგაში და ცნობის მოყვარეთ მრავალ მკითხველს ძლივს აკმაყოფილებდა იქვე მდგომი რამოდენიმე ქართველი სტუდენტი ორი პროფესორი საკურთხეველში წირვის გათავებისას შეეჭრა მღვდელს და აშბორით და ხვევნით დიდი მადლობა შესწირეს იმ სიამოვნებისთვის, რომელიც მათ მიიღეს მის მიერ წაკითხულ სახარებისაგან.

თან ეუბნებოდენ მღვდელს: სადაც მარტო სახარება ასე მშვენიერია, რაღა იქნება თქვენი ე. ი. ქართველების წირვა და ძით უფრო კიდევ გალობა: ეს უკანასკნელი ხომ პირდაპირ სულის დამამშვიდებელი და გულის დამატკბობელი რამ იქნებაო.

ბევრი რამ გამოკითხა მღვდელს ამ ორმა პროფესორმა ქართული წირვა-ლოცვისა და გალობის შესახებ, და გახარებული მოშორდენ მღვდელს, რადგან ამ უკანასკნელმა აღუთქვა მათ ამავე უნივერსიტეტის ეკლესიაში ცეცდები ძალიან მოკლე ხანში მოგასმენინოთ მთელი წირვა და მისი საგალობლები ქართულად. ხმა გავრცელდა ქალაქში და ძალიან ბევრი რუსთაგანი ჰკითხულობდა, თუ როდის იქნება ქართული წირვა უნივერსიტეტის ეკლესიაშიო, მაგრამ აღთქმის სისრულეში მოყვანა შეუძლებელი შეიქნა, რადგან ქართველმა სტუდენტობამ საეკლესიო გალობის გუნდის შედგენა იმ ერთი შემთხვევისთვის ვერ მოახერხა და მღვდელმაც მაისში ხარკოვი დასტოვა.

ეს შემთხვევა მისთვის აღვნიშნე, რომ მინდა ვკითხო ვისაც ჯერ არს, რა მიზეზია, რომ უცხოს მოსწონს ჩვენი ყველაფერი და ჩვენ კი ჩვენსავე სიკეთეს თავს დავსცინით!

ავიღოთ მაგ. ჩვენი საეკლესიო გალობა სამღვდელოების უკანასკნელმა კრებამ საკითხი აღძრა ჩვენი საეკლესიო გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. უნდა შედგეს კომისიები და დაარსდეს ფონდი ამ გვარათ როგორც იქნა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს მას ვეჭვობთ, რომ ამ სიმპატიურ საქმეს ხელის შემშლელები არ გამოუჩნდენ, როგორც ახლა უშლის ხელს ზოგიერთი პირი მომავალ სასულიერო კონცერტს რომელიც უნდა შესდგეს 16 და 17 მარტს. თურმე დიდის ცინიკური თვალსაზრისით მისჩერებია ორი სულიერი მამა, რომლებიც უკვე პროპაგანდას ეწევიან ხალხში — არა ღირს მისი მოსმენა, რადგან ახალი არაფერი იქნება და არა-რამე გასაკვირველიო.— დიახ, წმინდანო, მამანო მომავალ კონცერტს [illegible] თაც არა აქვს მიზნათ ახალი რამ მოსმენიოს ხალხს, მან უძველესი [illegible] უნდა წარმოადგინოს და უჩვენოს საზოგადოებას ის დიდება, ის სულიერი სიმდიდრე ის მუსიკალური ღმად განვითარება, რომლითაც განირჩეოდა ძველ დროში ქართველი ერი, და რომელიც სავსებით გამოიხატება მხოლოდ ამ საეკლესიო საგალობელში. ამით მიზანი აქვს კონცერტს უჩვენოს დღევანდელ საზოგადოებას მისი დიდებული წარსული.

სრულებით არ მოველოდი, რომ ჩვენ სულიერ მამათა შორის, გამოჩნდებოდა ისეთი პირი, რომელიც ხელის შეშლას მოინდომებდა წაქეზებისა და ხელის შეწყობის მაგივრათ! სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, პატივცემულო მამანო, თქვენი საქციელი და პროპაგანდის გაწევა კონცერტის წინააღმდეგ. კარგათ გიცნობთ ორთავეს და ვიცი ისიც, რომ ფოცხვერაშვილის კონცერტს, რომელნიც 4 ჯერ ზედიზედ განმეორდა, არც ერთჯერ არ დასწრებიხართ, მიუხედავათ იმისა რომ ფოცხვერაშვილის კონცერტში ახალი რამეც იყო.

აქიდან აშკარაა რომ თქვენ არც ერთი, არც მეორე არ გაინტერესებთ: არც ძველი, არც ახალი. ხალხს კი უშლით ხელს თავისი წარსული წმიდათა — წმიდა მოისმინოს.

ზემოთ ვსთქვით – უცხოელნი განცვიფრებამდი მივიდენ ჩვენი სახარების კილოთი მეთქი, თქვენ კი ცინიკურად ეპყრობით ისეთს განძს რომელიც სხვა ხალხს არც ჰქონია და არც აქვს, რომელშიაც რაგინდა რომ არ დაინახო ჩვენი წარსულიდან, რა სულის მდგომარეობა, რა პოეზია, რა სტიქიონის მოვლენა — მრისხანე თუ ლმობიერი, ტკბილი ალერსი, ან მწვავე სულის კვეთება — ყოველივე ეს გამგონის სულს ატკბობს, შორს გადატყორცნის, თავისი წარსულის მოგონებით ამხნევებს და ამხიარულებს. თქვენ კი ყოველივე ამას არა საინტერესოს ეძახით. მაშ რა არის თქვენი წმიდათა წმიდა გვაცნობეთ ღირსნო მამანო! უკეთესი გვიჩვენეთ სულიერი საზრდო და თქვენი თაყვანის მცემელი ვიქნებით.

X.

საზ. პალატის განცხადება.

ქუთაისის სახაზინო პალატა აცხადებს, რომ 1915 წლიდან შემოღებულია სამხედრო გადასახადი იმ ქვემო ჩამოთვლილ პირთათვის, რომელნიც განთავისუფლებული არიან სამხედრო ბეგრისაგან 1911 წლიდან:

1) განთავისუფლებულნი „სამხედრო" ბეგრისაგან: ა) წოდებისა და თანამდებობის გამო, თანახმად 79, 79¹, 79³, მუხლის სამხედრო ბეგრის წესდებისა (კრებული კანონებისა, ტომი 1, გაგრძელება 1912 წლის) და ბ) ჩარიცხულნი სათადარიგოთ ფლოტში (მუხლი 82 სამხედრო ბეგრის წესდების გაგრძელება 1912 წლისა).

2) ჩარიცხულნი პირველ ხარისხის ლაშქარში: ა) სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მოწვევის დროს, ბ) რომლებიც დათხვნილი იყვნენ ჯარიდან სამსახურის ვადის გათავებამდე; როგორც ზედმეტად მიღებული ჯარის კაცები.

3) ჩარიცხულნი მეორე ხარისხის ლაშქარში: ა) სამხედრო ბეგრის მოსახდელათ მოწვევის დროს, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ ჯარიდან სამსახურის ვადის გათავებამდე უვარგისობის მიზეზით ან და მათი ოჯახური მდგომარეობის შეცვლის გამო (მუხლი 56, სამხედრო ბეგარის წესდებისა, გაგრძელება 1912 წ.).

4) ჩარიცხულნი პირველი ან მეორე ხარისხის რაშქარში: ა) რუსეთის ქვეშევრდომი უცხოელნი მამაკაცნი, რომელთა წლოვანება აღემატება ოცდა ათ წელიწადს, ბ) რომლებიც გაექცენ სამხედრო ბეგარას და აღარ არიან ვალდებული მოიხადონ ეს ბეგარა, რადგან გამოჩენის დროს უკვე შეუსრულდათ მათ 34 წელიწადი.

რაოდენობა სამხედრო გადასახადისა (წლიურის შემოსავლის მიხედვით) შემდეგია: შემოსავალზე ათას მანეთამდე — 6 მანეთი წლიურად, ათას მანეთზე ზევით ხუთი ათას მანეთამდე წლიურ შემოსავალზე — 25 მანეთი, ხუთი ათას მანეთს ზევით ათი ათას მანეთამდე — 50 მანეთი, ათი ათას მანეთ ზევით ოცი ათას მანეთამდე — 100 მანეთი, ოცი ათას მანეთ ზევით - 200 მანეთი (ყოველწლიური გადასახადი).

სამხედრო გადასახადის გადამხდელებს შეუძლიათ შემოიტანონ ამ 1916 წელში 1 აპრილამდე სახაზინო სამხედრო გადასახადის საკრებულოში განცხადება მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოსავლის რაოდენობის შესახებ ხარჯთ ამკრებ ინსპექტორის, მისი თანაშემწის, ანუ მისი საქმის მწარმოებელის, ან და ხაზინის საშუალებით მაზრებში—სასოფლო სამართველოების საშუალებით და აგრეთვე ფოსტითაც განცხადების. ბლანკები მიიღება უფასოთ ხაზინებიდან, ხარჯთ ამკრებ ინსპექტორების კანცელარიებიდან და სასოფლო სამართველოებიდან

რითოეულს მიღებულ განცხადებაზე მიეცემა ხელწერილი (რასპისკა)

თაც შეეხება მაჰმადიან ხალხს (გარდა მაჰმადიან ოსებისა), აგრეთვე ქურთებსა, ეზიდებსა, ქრისტიან ინგილოებს და აგ ხაზებსა—სოხუმის ოლქის ქრისტიანებს, რომლებიც სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული არიან, მათ შეეწერებათ სამხედრო გადასახადი—60 პროცენტი იმ დადგენილი 1914 წლის გადასახადებიდან რომლებსაც იხდიან ისინი სოფლის და ქალაქის მამულზე, ვაჭრობისა და ბინი სათვის.

გურია-სამეგრელოს სამღვდელოების საყურადღებოთ.

გასული თებერვლის თვეში გურია—სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოების კრება მოხდა ქ. ფოთში სხვადასხვა კითხვის განსახილველად. სხვათა შორის, კრებამ აირჩია დეპუტაციად ბლაღ. დეკ კოდრატე ჩაჩიბაია, ფოთის საკათედრო სობოროსი—კანდელაკი, იოანე ბობოხიძე და ბლაღ, მღვდ. იოანე კეკახმაძე. კრებამ დაავალა მათ წარუდგენ საქართველოს ეგზარხოს მაღალ—ყ-დ უსამღვდელოესს პლატონს და, დაწვრილებით მოახსენონ რა ეხლანდელი აუტანელი, მატერიალურის მხრით, მდგომარეობა გურია-სამეგრელოის სამღვდელოებისა, გამოწვეული განსაკუთრებით მათი სამწყსოის დამ?ევის გამო, რომელიც შეიქნა შედეგად ზედიზედ ორი უკანასკნელი წლის არა ჩვეულებრივი წყალდიდობისა და მოუსავლობისა სთხოვონ მათ, მაღალ—ყ-დ უსამღვდელოესობას, რათა ამ საგანზე აღძრულ შუამდგომლობას მათი მეუფების გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ საქართველოს ეგზარხოსათ ნამყოფის პიტირიმისა და მათ წინაშეც გამეორებულს, მიეცეს დაჩქარებითი მსვლელობა და განსაკუთრებითი ყურადღება.

აღნიშნული დეპუტაცია, ყ-დ სამღვდელო ლეონიდის ნებართვით 9 ამ მარტის თვეს წარუდგა საქართველოს ეგზარხოს მაღალ ყ-დ უსამღვდელოესს პლატონს, რომელმაც დიდის გულდასმითა და ლმობიერებით, მოისმინა რა ამ საგანზე დაწვრილებითი მოხსენება დეპუტაციისაგან, ბრძანა—ჩემ მიერ დიდათ პატივცემულ ყ-დ სამღვდელო ლეონიდის მიერ ამ საგანზე წარმოდგენილი შუამდგომლობა ისე დასაბუთებული იყო, რომ მისი უყურადღებოთ დატოვება შეუძლებელი იყოვო, და ჩემ მიერ სათანადო ზომებია მიღებული ჯერჯერობით. დასარწმუნებლად ამისა, ჩვენ იქვე, სადარბაზო ოთახში ყოფნის დროს, სინოდის კანტორის პროკურორმა მოართვა სინოდალური კანტორის დადგენილების ოქმი ამ საგანზე, შემდგარი რომელიც, როგორც გვიბრძანა, აქვე იქნა დამტკიცებული და შუამდგომლობს უავგუსტოესის მეფის მოადგილის წინაშე, განსაკუთრებითი მდგომარეობის გამო, გურია - სამეგრელოის ეპარქიის სამღვდელო-საეკლესიო მოსამსახურეთ დაენიშნოს ახლავე „ნორმალური" ჯამაგირი რვაასი (800 მ) თითოეული კრებულს, ხოლო როგორც ამა ეპარქიის, ისე სხვა ეპარქიის სამღვდელოებასაც, რომელნიც მსახურებენ სამხედრო ასპარეზის რაიონში, ყველას დაენიშნოს დღიური საზრდო საზოგადო კანონდებულების ძალით. გვიბრძანა, ამას პირადათაც სთხოვს უავგუსტოეს მეფის მოადგილეს.

დეპუტაციამ უდიდესი მადლობა შესწირა საქართველოს ეგზარხოსს ასეთი განსაკუთრებითი ყურადღებისა და ჰეშმარიტი მამობრივი მზრუნველობისათვის.

უკეთუ აღძრული საკითხი სასურველათ დაგვირგვინდა, მაშინ ის დრამა ფული, რომელიც ამჟამად ისედაც გაჭირვებულ გლეხობას მოუცილებელ ტვირთად აწევს ზურგზე, თანახმად ჩვენი სამღვდელოების მიერ უკანასკნელ კრებაზე გამოტანილ დადგენილებისა, მოისპობა და ეს გარემოება—კი მწყემსთა და მათ სამწყსოთა შორის დაბადებს სიყვარულსა და კეთილ განწყობილებას ..

ბლაღ. დეკ. კოდრატე ჩაჩიბაია.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. 12 მარტი. დღის ცნობა არგონებში მოულოდნელ შეტაკების დროს მოწინააღმდეგეების თხრილებთან ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ რამდენიმე ჯარის კაცი

მაასის დასავლეთ-აღმოსავლეთით ღამემ წყნარად ჩაიარა. ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა ჟულენსილის რაიონში. დანარჩენ ფრონტზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

კოპენჰაგენი. 12 მარტის ცნობა. ოსტენდაში გერმანელებისა და ინგლისელების ნაღმოსნების შეტაკების დროს საგრძნობლად დაზიანდა გერმანელთა ერთი ნაღმოსანი. მოკლულ იქნა 6 მეზღვაური და დაიჭრა 13 კაცი.

კიევი. 12 მარტის ცნობა. საღამოს 8 საათზე ქალაქზე გადაიარა უზარმაზარმა აეროლიტმა და გაანათა ჩრდილოეთ დასავლეთი ნაწილი ცისა

პოლოცკი. 11 მარტის ცნობა. მოიყვანეს 540 ტყვე გერმანელები უმეტეს ნაწილად ქვეითა ჯარის კაცები, რომელიც ხელთ ჩაუვარდათ დვინის ფრონტზე ვილეიკასთან ბრძოლის დროს მოელიან კიდევ ახალ ტყვეებს ნაროჩის ტბასთან ბრძოლის დროს წამოყვანილებს.

კალუგა. 11 მარტის ცნობა. ტკლალიხვინის გზის მე-9 ვერსზე მატარებლები ერთმანეთს დაეტაკა. ორთქლმავალი ლიანდაგს გადასცდა. გზა დაზარალებულია 24 საჟენზე. არავინ დაშავებულა.

ლონდონი. 13 მარტი. ბრიტანეთის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. ღამით მტერმა ააფეთქა ნაღმი ჰოჰენცოლერის რედიფტთან და დაიკავა ერთი თხრილი, მაგრამ ჩვენ ისევ უკან დავიბრუნეთ ყუმბარების საშუალებით. ჩვენ ყუმბარები დაუშინეთ აგრეთვე ბუამდონის მხრით მდებარე მტრის თხრილებს. მოწინააღმდეგე გვიპასუხებდა

პარიზი. 12 მარტი არგონებში აფეთქების შემდეგ ჩვენ მტერზე იერიში მივიტანეთ და უკუვაგდეთ. ვერდენის მიმართ არავითარი საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა.

ბელგიის ასპარეზი.

ჰავრი. მთელ ფრონტზე გაცხოველებული საარტილერიო მოქმედება სწარმოებდა.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ რიონი. (ოკრიბა). შარშანდელმა მოუსავლობამ თავისი კვალი დაამჩნია აქაურ მკვიდრთ. ხალხი დიდ გაჭირვებას განიცდის. დამხმარე ჯერჯერობით არავინა სჩანს. ხალხმა ოთხი ვაგონი სიმინდი გამოიწერა, მაგრამ ჯერჯერობით არ მიუღია. თუ გამოწერილი სიმინდის მიღებამ დაიგვიანა, ხალხის გაჭირვება გაორკეცდება, ადგილობრივ მოხელეების უკანონო მოქმედებას საზღვარი არ უდევს. სულ ტყუილუბრალოთ აჯარიმებენ ხალხს ჯარიმის სახით გადახდილი ფული რას ხმარდება, ამის ანგარიშს არავინ იძლევა

— —

აქ არ მოიპოვება ხალხის ისეთი გულ შემატკივარი ადამიანი, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს და შესაფერათ გაურკვიოს დღევანდელი საჭირბოროტო კითხვები.

— —

ს რიონში ძლიერ ფეხი მოიკიდეს ცრუ მატყუარა მკითხავებმა დაიარებიან სოფლად და უღიერათ ატყუებენ ხალხს. საჭიროა ადგილობრივმა მღვდელმა აუხსნას და განუმარტოს ხალხს ამ ვაჟბატონ—ქალბატონების მატყუვრობა და გამოაძევონ ადმინისტრაციის დახმარებით სოფლიდან.

პაწია.

სხვა და სხვა ამბები.

(პ. დ ს)

ნების აღმასრულებელმა რეტიაკოვმა მოსკოვის უნივერსიტეტის კასაში შეიტანა 626000 მ. იმ ფულის დასამატებლათ, რომელიც წინად ჰქონდა შეტანილი 200 000 მ. სამედიცინო კლინიკების მოსაწყობათ. მოსკოვის გრადონაჩალნიკმა გენერალ შებეკომ მიიღო მფარველობის ქვეშ ქალაქის თვითმართველობის წევრები. მის დანიშვნის დროს მეფემ კეთილ—ინება და დაავალა უმაღლესი ბძანებით მფარველობა გაეწია მოსკოვის მცხოვრებლებთათვის და ქალაქის თვითმართველობის გამგეობასთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებულთ სამსახური გაეწიონ საერთო კეთილ მიზანს. რომანოვების კომიტეტმა გახსნა ყველა ეკლესიებთან საერთკვირო ყრილობა, მეომართა ხელმოკლე ობოლ ბავშთა საკეთილდღეოთ ზრუნვის გასაუმჯობესებლათ.

ტოკიო. იუნშიკაის განცხადების მიხედვით მონარქიის აღდგენის უარის გამო, პრეზიდენტმა ბეჭდვით განაცხადა, რომ ახლა დაწვრილებით საკითხის გადაჭრა ჩინეთის მშვიდობიანობის აღსადგენათ დაგვიანებულიაო. პრეზიდენტი იმ აზრისა მოწვეულ იქნან ყველა კუთხის რევოლუციონერები, რომელნიც ბრძოლას განაგრძობენ მთავრობის წინაამდეგ.

პეტროგრადი. სახელმწიფო სათათბიროს, დაადგინა მიმართოს წინადადებით სათათბიროს წევრთა საზოგადო კრებას, გადასცენ ნაკაზის 115 მუხ. კომისიის გადაწყვეტილებისამებრ სხდომებზე დასწრება ნება დართონ სათათბიროს წევრს ალეხინს. მეხუთე პუნქტი 8 მუხ. სათათბიროს დაარსების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს, რომ სათათბიროს წევრნი ირჩევს სათათბიროს შემადგენლობას მაშინაც კი, თუნდ, რომელიმე წევრი არ დასწრებოდა კრებებს ერთხელ—მაინც მთელი წლის განმავლობაში. სათათ. წევრი ალეხინი ამორჩეულია ვორონეჟის გუბერნიიდან.

სათათბიროს ცნობათა მომცემ ფურცლებიდან გამოქვეყნებულია სია სათათბიროს იმ წევრთა, რომელნიც არ დასწრებიან რამდენიმე სათათბიროს სხდომებს.

მართლმადიდებელი ეკლესიათა საქმის კომისიამ მიიღო 3 პირველი წინადადება კანონ-პროექტისა სხდომას დაესწრო ობერ-პროკურორის ამხანაგი ზაიონჩკოვსკი

სოლუნი.

ოსმალეთის მთავრობა ფინანსიურ კრიზის გამო, შეუდგა ახლად ქაღალდის ფულის გამოშვების საქმეს. ოსმალეთის კავკასიის ფრონტზე დამარცხების შემდეგ ქაღალდის ფულმა ოსმალეთში დაიკლო ღირებულების 30%. ამის გამო, ოსმალეთის მთავრობამ, აიძულა ბანკირები უმეტეს ნაწილად ბერძნები, რომ ეს ქაღალდის ფული მიეღოთ ღირებულების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელნიც უარს განაცხადებენ, სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან.

ღია წერილი

ქ. ქუთაისის მცხოვრებთ

ამ დღეებში წასვლა მომიხდება თურქ. მეთოთხმეტე პოლკში, რომელიც ამ ჟამად იმყოფება კავკასიის ფრონტზე. რადგანაც ხელცარიელი მისვლა ძალიან მეძნელება, ვსთხოვ ქ. ქუთაისის მცხოვრებთ—ნუ დაიშურებენ თამბაქოს, პაპიროსებს, ფოსტის ქაღალდს, კონვერტებს და სხ. საჩუქრებს,—რომელთაც მე თვითონ დავურიგებ ჯარის კაცებს ქუთათურების სახელით.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას მოვახსენებ იმ პირთა და დაწესებულებათ, რომელთაც აქამდე რაიმე დახმარება აღმოუჩენიათ 398 სთადარიგო გოსპიტლის დაჭრილ და ავადმყოფ ჯარის კაცთათვის

ჩემი წასვლის შემდეგაც, იმედი მაქვს, ქუთათურები არ მოაკლებენ ყურადღებას დასახეთქებულ ჯარის-კაცებს და ადგილობრივი რედაქციები—გაზეთებით

ვისაც რა ემეტებოდეს ფრონტზე გასაგზავნად, ვსთხოვ კვიტაშვილის სახლში მომაწოდოს, ჯაჭვის ქუჩაზე.

პატივისცემით მღ. ფ. კარბელაშვილი.

ანგარიში

18 თებერვალს 1916 წელს გამართულ საქველ-მოქმედო საღამოისა.

ა) შემოსავალი:

გაყიდულა სულ 364 ბილეთი 1049 მ. 50 კ. ფულად შემოსწირეს: 100 მ. ს. ნ. სხარტლაძემ; 75 მ. ა. ი. ელიგულაშვილმა; 50 მ. გ. დ. ქავთარაძემ; დ. გ. წოწონავამ, ს. დ. მოწონელიძემ, ელამთვისა და გვალთვის ამხანაგობამ, ა. პ. რაჟანაშვილმა, ძმ. იაკობაშვილებმა, ძმ. დ. ი. ფიჩხაძემ, ძმ. მ. გ. ფიჩხაძემ და ა. პ ცეცხაშვილმა; 40 მან რ. ე. რაჟანაშვილის შვილებისაგან: 30 მან ბ. ფიჩხაძისაგან, ძმ. ი. და ი. ელიგულაშვილებისაგან და ა. ა. მოშიაშვილებისაგან; 25—25 მან. კპისკ. დავითისაგან, კპისკ ანტონისაგან, ი. მესხის, ზვიადაძის და კაკაბაძის, ძმ. ჩიჩინაძეების, ძმ. რუხაძეთა ს. გ ი. მ., ა. გ. ქარელის, ა. ა. ანანოვის, ს. გ. ნაჭარაძის, ძმ. გვარჯალაძეების, ამხ. პროკოფენკის და ლ. პ. კოკოჩაშვილისაგან, 20—20 მან ი. ბერძენოვის, ძმ. ფიჩხაძეთა, ი. და ს. ს. ი. თევდორაძის, ძმ. ი. და დ. თავდიდიშვილთა, ეს კურჩაბაშვილის, ს. ი. ქამოთრიშვილის, ი. მ. ცეცხაშვილის, ძმ. ჩუბინიძის მ. და ლ მ. რაჟანაშვილის, ჩუბინიძის და გველესიანის, თავთხიანის ა. მ., ბუტულაშვილის და ფ. ს. ფილიპოვისაგან; 15—15 მან. ს. ჯვარშეიშვილის, ა. სანიკიძის ბ. ოგანეზოვის, ი ძოწენიძის, ა.-შვილით ფიჩხაძეთა, ძმ, ზ. გ. რ. ფიჩხაძეთა, მ. ი. ჩაკვაშვილის, ს. შ. ხანანაშვილის, ი მ. კაკიტელაშვილის, დ. მ. ბახტაძის, გ ჩაკვაშვილის, გ დ. ნარიმანოვის, ნ. ჯანელიძის, ლ. კაჭარავას, მ. მ. ცეცხაშვილის, ს. და ი ბოკერიათა, ი ჩოთავას, რ. მ რაჟანაშვილის გ. მ. ცეცხაშვილის, ა მ. პაპიაშვილის, ს. კალანდარიშვილის და კომპ, ძმ. ლომიძეთა, ჟორჟოლიანი და კაჭარავასაგან; 10—10 მან პ ფანჯავიძის, ა. ხეცურიანის, ი. ა. ხაზარაძის, მ. პ. კაჭარავას, გ. გალუსტოვის და ე. ლომთაძის, კ. კობახიძის, ბ. ნიშნიანიძის, ვ. გუბელაძის, ა. გეგელაშვილის, ს. გოგსაძის, ს. ვეკუას, მ ი. კშონძერის, ა. ენუქაშვილის, ა. ელიგულაშვილის, მ. მოწონაშვილის, ა. ხეცომშვილის, შ. თოფჩიაშვილის, ძმ პ. და დ. ხანანაშვილების, მ. განგულაშვილის. მ. კ. თვალადაშვილის, დ. ნ. სოხაძის, ი. ე. კუხიანიძის, ა. ოგანეზოვის, ვ. ჯ. წერეთლის, პ. ტალახაძის, ა. თარხნიშვილის, ჩხეიძისა და მეძმარიაშვილის, ე პეისახის, ძ. ფიზიცკის, ი. ახვლედიანის, ძმ უვახიაშვილთა, კ. კიკანიშვილის, ა კ. იარინკის, ა დეისაძის, კ. ი. შათირიშვილის, ა. კშონძერის, გ ჩხეიძის და ი. ხანთაძის, ე. ბარათაშვილის ა. გორგაძეს, და ე. ქებაძის, ვ. პ. კუპრაშვილის, გ. ი. გველესიანის, ვ. ი. არდიშვილის, ნ. ა. საბაევის, ლ. ვ. პოტულოვის, ი მ ჩიქოვანის, კ. ნ. თავაბაზის, ძ. მ. თავ. ნაკაშიძის, ი. მ. ლორთქიფანიძის, გ. ა. ცეემლაძის, ს ა. გზაკოვის და მეძავრიშვილის, ე და ს. ხურაძეთა, მ. გოკიელის, ფ ზედგინიძის ი. და მ. ალიბეგოვის, ს. მოწონელიძის, მ. ელიგულაშვილის, ფ გ მგალობლიშვილის, რ. და ი. კაკიტელაშვილის, ძმ. საკაშვილების, ადანაიას, გრიქუროვის, ბ. კურცხალიას, შელაშვილის, უგრაინცევის, რ. ი. გოკიელოვის, თ. ა. მთავრიშვილის, სოფის სახელოსნოისაგან, ა. კასტავას, ქიქიაშვილის, მენგელია და ბაღაშვილის, ბანაძის, ი. რუხაძის და ი. 6—6 მან. ა. პ. ... ლის, მ. ბუბუშ... ნ. ეს გარბუნოვისაგან; 5 მ. 50 ჩილინგარიდისაგან; 5—5 მან ა. თვაზაძის, ტ. აბდალაძის, ძნაძეთა, ვ. კარანაძის, ს. ქებულაძის და თევდორაძის, ფ შავერდოვის, ა. ოგანეზოვის, შვილის, კ. კვარიკაშვილის, მ. გ. ი ამირალოვის, ტ. აბდალაძის, ქაბერიძის, მ. ვ. გლუშკოვის, ი. ლაშვილის, მ. გორდეზიანის, ტ. ი. გალუსტოვის, მ ტურაბელიძის, ჟანაშვილის, დ. ა კობერიძის, ი. რაშვილის, ეშ. შამლიკაშვილის, ი. თის, ს. მორჩაძის, ხ. დ. პახტაძის, ლევიძის, ს. პ. ფეიქაროვის, ნ. ა. რეთლის, ა. მ. ამილოვის, ნ. მ. თავ. თქიფანიძის, ვ. ფ. ფიალკოვსკის, მ. კოკოჩაშვილის, ს. ი. მხეიძის, და მ. ი. თაქთაქოვის.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო"

რკინის გზის მიმოსვლა

ქ. ქუთაისს მოდის

თფილისიდან	დილის	5 ს. 5
„	საღამ.	6 ს. 5
ბათომიდან	დილისით	1 ს. 25
„	ღამის	2 ს. 2
ფოთიდან	დილის	10 ს
ტყიბულიდან	საღამოს	7 ს. 3
შორაპნიდან	დილას	9 ს. 1

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	დილის	11 ს. 5
„	ღამის	1 ს.
ბათომისაკენ	დილისით	5 ს. 30
„	დილის	4 ს. 27
ფოთისაკენ	დილის	4 ს. 27
ტყიბულისკენ	დილის	6 ს. 20
შორაპნისაკენ	დილით	5 ს. —

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
—მიღებულია დიდძალი—
საპნის გასაკეთებელი სოდა
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ავათმყოფნი გონორეი ს უს უნატით
დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა ბლენიოზოლი პროფესორ მორნისა.
ბლენიოზოლი [illegible] ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და [illegible] დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა [illegible] ქრონიკულ სუსუნატისა, ტრიპერისა, ბაქტერია და [illegible] მორნის ბლენიოზოლი რადიკალურათ სპობს გონორეის [illegible], რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი [illegible] შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს [illegible] და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. [illegible] განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ „ბლენიოზოლი", როგორც ერთადერთი საშუალება [illegible] სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება [illegible] აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.
ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში. ფასი ერთი კოლოფის 3 მან. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.
ა. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გიძღვნით. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც [illegible] წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს. თქვენი ურდგულესი ია. ნ. კოლეგოვი.
პ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)